ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4445435

ნომერი: AR1667224

თარიღი : 11.03.2019

გაცემის თარიღი : 04.04.2019

გაცნობის თარიღი : 05.04.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N42;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კონა ლაგურაშვილი პ/ნ 01014003799
- თბილისი ს.დოდაშვილის ქ. N 40

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 8 მ-მდე სიმაღლის მქონე ანძა, ანტენა, გაყვანილობისა და განათების ბოძი ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი ელექტრონული განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. №42-ში, შპს "სისტემ ნეტი"-ს საკუთრებაში არსებული №5 შენობის სახურავზე შპს "ვიონი საქართველო"-ს მობილური კავშირგაბმულობის საბაზო სადგურის ანტენების განთავსებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვის მიღებას, თუმცა, სამუშაოების განხორციელებისშესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის № 57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან – რეგ. № 882019205137 21.03.2019 წ., საკადასტრო კოდი № 01.14.05.003.001; იჯარის ხელშკრულება, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, მინდობილობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დადგენილება სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ 22.11.2018 წ. №4-1/დ 1973-18 (№003936), შპს "გ. ნათაძის სახ. სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო – კვლევითი ინსტიტუტი"-ს სანიტარულ-ჰიგიენური დასკვნა 14.02.2019 წ. № 01/19-ემგ ; შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი"-ს შეზღუდვის ზონების გაანგარიშების და კეთილმოწყობის პორექტი, არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი; საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. №42-ში, შპს "სისტემ ნეტი"-ს საკუთრებაში არსებული №5 შენობის სახურავზე შპს "ვიონი საქართველო"-ს მობილური კავშირგაბმულობის საბაზო სადგურის ანტენების განთავსების შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ, რომ საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას საპროექტო ანტენების კონსტრუქციის მდგრადობა და დაცული იქნას შესაბამისი ნორმები.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.